დანართი N 1

დამტკიცებულია სსიპ „ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის
2020 წლის 31 აგვისტოს N 02-09/132 ბრძანებით

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“
აცხადებს ღია კონკურსსს შემეცნებით - საგანმანათლებლო პროგრამათაშორისი ვიდეორგოლების
შესყიდვის მიზნით

შესაძენი პროდუქცია:

ქართული მწერლობის თემაზე შემეცნებითი-საგანმანათლებლო პროგრამათაშორისი ვიდეორგოლები - 16 (თექვსმეტი) ერთეული .

განცხადების მიღების დაწყების თარიღი : 01 სექტემბერი 2020 წ.

განცხადების მიღების დასრულების თარიღი: 11 სექტემბერი 2020 წ.

პროექტის განხორციელების (სავარაუდო) პერიოდი: 12/09/2020წ. - 31/12/2020წ.

დაფინანსების ოდენობა: 10960 (ათი ათას ცხრაას სამოცი) ლარი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის/გადასახდელის ჩათვლით. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად.
საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში დასაშვებია წინსწრები (საავანსო) ანაზღაურება, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს ერთი თვის 2740 (ორი ათას შვიდას ორმოცი) ლარს.

გამარჯვებული განმცხადებლის მიერ მოსაწოდებელი პროგრამათაშორისი ვიდეორგოლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
ა) ვიდეოარტების შინაარსი უნდა ეხებოდეს ქართულ მწერლობას. ვიდეოში უნდა აისახოს საუკეთესო გამონათქვამები, ნაწარმოებიდან ამოღებული ფრაზები, წინადადებები, სტროფები, კუპლეტები ან აფორიზმები.
ბ) რეჟისორმა ვიზუალური გამომსახველობითი სიმბოლოებითა და გაცოცხლებული პერსონაჟებით ან მწერლებით გადმოგვცეს ერთი კონკრეტული აფორიზმის, სტრიქონისა თუ სტროფის თავისებური, თვითმყოფადი ხედვა.
გ)ვიდეოპროდუქტი უნდა იყოს მისაღები, ესთეტიკური ფორმებით გადმოცემული, უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტებს, უნდა იყოს თავისუფალი პოლიტიკური და კომერციული გავლენებისგან.
დ) დამზადებული მასალის ტექნიკური პარამეტრები FULL HD 1920-1080 i
ე) ქრონომეტრაჟი 0.30 წმ-დან - 1 წთ-მდე.

კონკურსში გამარჯვებული ვალდებული წარმოადგინოს კვირაში არანაკლებ 1 ვიდეორგოლი. მოწოდებულ პროდუქტზე განსაკუთრებული საავტორო უფლებები ეკუთვნის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს.“

კონკურსში მონაწილე/ გამარჯვებული იძლევა გარანტიას მასზედ, რომ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოდგენილი პროდუქციის გამოყენებისათვის მესამე პირ(ებ)ისაგან წაყენებული პრეტენზიების/მოთხოვნების თაობაზე პასუხისმგებელი იქნება თავად და ასევე შემსყიდველს არ დაეკისრება საავტორო (და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული) ჰონორართან დაკავშირებული

რაიმე ფინანსური ვალდებულება - დაკისრების შემთხვევაში კი კონკურსში გამარჯვებული აუნაზღაურებს შემსყიდველს მიყენებულ ზიანს და დაკისრებულ თანხას იდენტური ოდენობით.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) პროგრამათაშორისი ვიდეორგოლების პროექტი (მათ შორის ვიდეორგოლების აღწერილობა, სავარაუდო თემები);
ბ) რეჟისორის ბიოგრაფია და თანხმობა წინამდებარე საკონკურსო პროგრამათაშორისი ვიდეორგოლების შექმნაში მონაწილეობაზე;
გ) რეჟისორის ნამუშევარი;
დ) წინამდებარე კონკურსით გათვალისწინებული პროგრამათაშორისი ვიდეორგოლის საპილოტე ვერსია;
ე) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
ვ) დაფინანსების ოდენობის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა (იხ. დანართი N2)

განაცხადის წარდგენის წესი:

1. განაცხადი შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების შესახებგანცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადის მიღების საერთო ვადას, წარადგინოს განცხადის ან მასზე დართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.
2. განაცხადი კომისიას წარედგინება მაუწყებლის იურიდულ მისამართზე, ან მაუწყებლის ელ. ფოსტაზე konkursi@ajaratv.ge გაგზავნის გზით.
3. ელექტრონული ფორმით განაცხადის მიღების თარიღად და დროდ ითვლება მისი გაგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებულია ელ. ფოსტაზე. განაცხადი მიღებულად არ ითვლება, თუ განმცხადებელს არ დაუბრუნდა შეტყობინება, იმის შესახებ რომ დოკუმენტები მიღებულ იქნა და შესაძლებელია მისი წაკითხვა.

კონკურსის ეტაპები:

1. კონკურსის გამოცხადება;
2. განაცხადის წარდგენა;
3. განაცხადის დასაშვებობის შემოწმება;
4. კომისიის მიერ პროექტების შეფასება
5. ხელშეკრულების გაფორმება; (გამარჯვებულთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება)

შენიშვნა:
კონკურსთან დაკავშირებული სხვა საკითხები, მათ შორის დაფინანსებასთან დაკავშრებული საკითხები მოწესრიგებულია მაუწყებლის დირექტორის 2018 წლის 20 აპრილის N02-03/14 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ ტელერადიოპროდუქციისა ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვის წესით/დებულებით (გამოქვეყნებულია http://ajaratv.ge);

დანართი №2

"დამტკიცებულია"

სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს 2020 წლის 16 ივნისის N02-03/20 ბრძანებით

ორგანიზაციის დასახელება

ხარჯთაღრიცხვა

პროექტის დასახელება

N	ხარჯების კატეგორია	1 ეტაპი	2 ეტაპი		სულ
1	წარმოების პროცესში დასაქმებულთა ანაზღაურება	0,00	0,00	0,00	0,00
1.1.					0,00
1.2.					0,00
1.3.					0,00
2	ადმინისტრაციული ხარჯი	0,00	0,00	0,00	0,00
2.1.	დამქირავებლის მიერ გადასახდელი დაგროვებითი პენსიის 2%				0,00
2.2.					0,00
3. მთლიანი დანახარჯები		0,00	0,00	0,00	0,00
4. დღგ		0,00	0,00	0,00	0,00
5. სულ ჯამი		0,00	0,00	0,00	0,00

__შენიშვნა:__

1) მე-4 პუნქტი ივსება დღგ-ს გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში

2) ხარჯების კატეგორიაში და დაფინანსების ეტაპების საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ შესაბამისი გრაფა

ხელმძღვანელი

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

შევსების თარიღი